განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ფიზიკა, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

31 მაისი-2 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

22 ივნისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფიზიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მეცნიერების ბაკალავრი ფიზიკაში Bachelor of Science in Physics (BSc in Physics)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0533 - ფიზიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო	აკრედიტებული 28.10.2011

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	გადაწყვეტილება N208

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაზა მელიქიშვილი, კიბერნეტიკის ინსტიტუტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიკა ტატიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან კოტეტიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა აბულაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი, აქედან ძირითადი სპეციალობა - 200 კრედიტი

- ძირითადი სპეციალობის ზოგადი სავალდებულო საგნები - 50 (30 საფაკულტეტო + 20 საუნივერსიტეტო) კრედიტი
- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნები - 150 კრედიტი = 100 სავალდებულო საგნები, 10 - სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი + 40 - სავალდებულო არჩევითი საგნები.
- თავისუფალი არჩევითი საგნები / დამატებითი სპეციალობის საგნები–- 40 კრედიტი; დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტამდე შესავსებად სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს თსუ-ს მიერ შემოთავაზებული დამატებითი კრედიტები.

ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა იძლევა შესაძლებლობას მოწინავე დონის საბაზისო განათლების მიღებისა როგორც ფუნდამენტური ფიზიკის მიმართულებით, ასევე გამოყენებითი ფიზიკისა და ბიოფიზიკის მიმართულებით (იხ. სასწავლო გეგმა, სასპეციალიზაციო არჩევითი მოდულები).

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მეცნიერების ბაკალავრები ფიზიკაში, რომლებსაც ექნებათ:

1. საბაზისო ფუნდამენტური ცოდნა ფიზიკაში და ფიზიკის დარგისათვის საჭირო მათემატიკის საფუძვლებში; ფიზიკის ამოცანების რიცხვით მოდელირებაში;
2. ფიზიკური ექსპერიმენტის ჩატარების უნარჩვევები;
3. თანამედროვე ფიზიკის საფუძვლების ცოდნა - ფიზიკის ძირითადი დარგების საფუძვლების სიღრმისეული ცოდნა შემდგომ საფეხურზე სწავლის (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) გასაგრძელებლად; პროფესიული და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის;

ხელი შეუწყოს დარგის განვითარებასა და მის აღიარებას საზოგადოებაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2021 წლის 31 მაისიდან და 2 ივნისამდე განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2 ივნისს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრება კი გაიმართა დისტანციიურად, ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას;
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს;
- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს;
- პროგრამის ხელმძღვანელს;
  საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს

ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციის დამუშავებისას მოპოვებული ინფორმაციისა და ონლაინ ვიზიტის საფუძველზე დაადგინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მასში მითითებულ სწავლის დეტალური სფეროს „ფიზიკა 0533“ კლასიფიცირებული სწავლის სფეროს და ანიჭებს კვალიფიკაციას „ფიზიკის ბაკალავრი“.
  - პროგრამა სრულ ან მეტწილ შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება სწავლის მეორე საფეხურისთვის გათვალისწინებულ ზოგადი და ძირითადი სპეციალობის შეასაბამისი დისციპლინების სპეციფიკური სასწავლო შედეგების სტანდარტებს. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს გაცხადებული სასწავლო შედეგების მიღწევას. არსებობს პროგრამის განხორციელებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროგრამაში ჩართულია კვალიფიცირებული აკადემიური პერსონალი. ხელმისაწვდომია სასწვლო მასალა (სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები, ინტერნეტ-რესურსები). შემუშავებულია მექანიზმები სწავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად.
  - ექსპერტთა ჯგუფის მიგნებები პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ, რეკომენდაციებისა და რჩევების სახით.

- **რეკომენდაციები**

1.გადასახედია და შესაბამისობაშია მოსაყვანი სასწავლო კურსებთან ლიტერატურა. ლიტერატურა ძველია და თანაც რუსული;

2. რეკომენდირებულია პროგრამის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და მიზანებისა შედეგების რუკა გაიწეროს კვალიფიციურად.

3. გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში შესაბამის საფეხურთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. დამსაქმებლებთან კავშირების გაძლიერება და მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში
2. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან მეტად მოხდეს სტუდენტთა ხელშეწყობა/მოტივირება, ასევე ინფორმაციის მიწოდების დამატებითი საშუალებების გამოყენება რათა მოხდეს სტუდენტთა უფრო აქტიურად ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში
3. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;
4. სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში გაახლდეს გამზომი ხელსაწყოები
5. სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა ელექტრონული, საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ;
6. გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
7. სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც
8. სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში
9. სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა
10. სასურველია თვითშეფასების აღწერით ნაწილშიც (და არა მარტო) უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის დახვეწის მიზნით
11. სასურველია თვითშეფასების აღწერით ნაწილში მითითებული რიცხობრივი მაჩვენებლები იყოს შესაბამისობაში ერთმანეთთან;
12. სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პერიოდულად მოხდეს სილაბუსების გადამოწმება და მასში არსებული მოძველებული ლიტერატურის ცვლილებაზე რეკომენდაციის გაცემა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის მისამართით
13. სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე

მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უნივერსიტეტის პოზიციასთან განსხვავებულობის მოკლე მიმოხილვა

უნივერსიტეტის პოზიციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ლიტერატურა უნდა იყოს გამოცემული ბოლო 10 წლის განმავლობაში. ეს არის ექსპერტების საერთო პოზიცია ყველა პროგრამასთან დაკავშირებით და გამონაკლისებს ვერ დავუშვებთ.

არ ვეთანხმებით უნივერსიტეტის პოზიციას კურსების საფეხურთან შესაბამისობის ნაწილში.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სტუდენტებო და ზოგიერთ შემთხვევაში აკადემიური პერსონალი არ არის ინფორმირებული პლაგიატის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებზე. სტუდენტები არ არიან საკმარისად ინფორმირებული უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების შესახებ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა „ფიზიკა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამოქმედდა 2007 წელს და წარმოადგენს 2007 წლამდე თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტზე ისტორიულად მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა “სამართალმემკვიდრეს. აღნიშნული პროგრამამ 2011 წელს გაიარა აკრედიტაცია. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. პროგრამის მიზნები ორიენტირებულია საერთაშორისო ტენდენციებზე მეცნიერებაში. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ და შეესაბამება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიას. პროგრამის შესახებ დეტალური საჯარო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის (www.tsu.ge) პროგრამა გაზიარებულია აკადემიური პერსონალის მიერ, შეიმუშავა და განიხილა პროგრამის განვითარების კომიტეტმა და დამტკიცდა ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები **(დანართი 1);** • უნივერსიტეტის მისია (https://www.tsu.ge/ka/page/უნივერსიტეტის-შესახებ); • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) (https://www.tsu.ge/assets/media/files/1/უნივერსიტეტის%20სტრატეგიული%20განვითარების%20გეგმა.pdf);

- პროგრამის დარგობრივ კომიტეტზე საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის სხდომის ოქმები
- აკრედიტაციის დროს განხორციელებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. დეტალურად არის გაწერილი კომპეტენციები ქვეკომპონენტებთან ერთად. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის - აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით და შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა პროგრამის სწავლის 1 შედეგის **ცოდნა და გაცნობიერება** -ს 1.2 ქვეპუნქტი შეუსაბამობას იწვევს და ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომელშიც ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი, პროგრამის ხელმძღვანელები, აგრეთვე პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი. სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოყენებულია შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება (ბრძანება N69/ნ, 10.04. 2019 *ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ*);
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები**(დანართი 1);**
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები **(დანართი 13);**
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია **(დანართი 3);**
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი **(დანართი 4);**
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

• აკრედიტაციის დროს განხორციელებული გასაუბრებები
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია პროგრამის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და მიზნებისა და შედეგების რუკა გაიწეროს კვალიფიციურად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. დამსაქმებლებთან კავშირების გაძლიერება და მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √_შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაშისასწავლებლად ჩართვას.პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები **(დანართი 1);**
- უნივერსიტეტის მისია (https://www.tsu.ge/ka/page/უნივერსიტეტის-შესახებ);
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024)
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა √ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **საბკალავრო პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა გრძელდება** - 4 წელი (8 სემესტრი). **პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს** (ECTS) (60 კრედიტი წელიწადში, 30 კრედიტი სემესტრში) **პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი, აქედან ძირითადი სპეციალობა - 200 კრედიტი:** • ძირითადი სპეციალობის ზოგადი სავალდებულო საგნები - 50 (30 საფაკულტეტო + 20 საუნივერსიტეტო) კრედიტი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნები - 150 კრედიტი = 100 სავალდებულო საგნები, 10 - სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი + 40 - სავალდებულო არჩევითი საგნები. • თავისუფალი არჩევითი საგნები / დამატებითი სპეციალობის საგნები - 40 კრედიტი; დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი სტუდენტს შეუძლია შეაგროვოს თსუ-ს მიერ შემოთავაზებული დამატებითი კრედიტების საშუალებით. (+5 კრედიტი ყოველ სასწავლო წელს, +15 ბოლო სასწავლო წელს) ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა იძლევა შესაძლებლობას მოწინავე დონის საბაზისო განათლების მიღებისა როგორც ფუნდამენტური ფიზიკის მიმართულებით, ასევე გამოყენებითი ფიზიკისა და ბიოფიზიკის მიართულებით. თვითშეფასებაში მითითებულია, რომ „პროგრამის სწავლის შედეგები

შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის - აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით და შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მაგალითად, სტუდენტების მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე პროგრამაში შეტანილი იყო მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის დამოუკიდებელი საათების რაოდენობის გაზრდა სპეციალობის საგნებზე, ასევე უცხოური ენის სწავლების გაძლიერება''. თუმცა სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას ეს უკუკავშირი ვერ დადგინდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები(**დანართი 1);** • დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები **(დანართი 13);** • პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია **(დანართი 3);** • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი **(დანართი 4);** • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი **(დანართი 8);** • ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო და ჩარჩოს აღმწერი • გასაუბრება სტუდენტებთან • გასაუბრება დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგების რუკა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით - გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება თითოეული კურსის სილაბუსში ასახულია კურსის სწავლის შედეგისა და პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისობა. თითოეული კურსის მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თუმცა არის საკითხების გადაფარვები მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის საფეხურებში.მაგ ბაკალავრიატის სასწავლო კურსი 29. „კოსმოლოგია და ელემენტარული ნაწილაკები და მაგისტრატურის სასწავლო კურსი 48. „გრავიტაცია და კოსმოლოგია 1“ პრაქტიკულად ერთსა და იმავე საკითხებს განიხილავს. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა

პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამის თვითშსეფასებაში მითითებულია, რომ სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვეა,თუმცა თუმცა რიგ სილაბუსებში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ან ლექციების კონსპექტი, ანდა ლექტორის მიერ ატვირთული მასალა ან კონსპექტი. დამატებით ლიტერატურაში მასიურადაა მითითებული ძალიან მოძველებული დამატებითი ლიტერატურა და თანაც რუსულ ენაზე. მაგ. სილაბუსი 11.თანამედროვე ნანოტექნოლოგიებში მითითებული ლიტერატურა 2005-2006 წლების რუსული ლიტერტურაა მითითებული. მაგ.მოდული „ფუნდამენტური ფიზიკა“ გამოყენებულია რუსული ლიტერტურა 20 საუკუნის 50 წლების 30.სილაბუსი „სუბატომური ფიზიკა“ 34.სილაბუსი „ჰიდროდინამიკა“ მოდული ‘გამოყენებითი ფიზიკა“ გამოყენებულია რუსული ლიტერტურა 20 საუკუნის 70 წლების. 35. თანამედროვე ფიზიკური ექსპერიმენტის მეთოდები 36.სილაბუსი „შესავალი მყარი სხეულების ფიზიკაში“ 37.სილაბუსი „გამოყენებითი ბირთვული ფიზიკა (საფუძვლები)“ 40.სილაბუსი ‘’ფიზიკა ნანო-მასშტაბებზე 41.სილაბუსი „მიკრო და ნანოელექტრონიკა“ მოდული „ბიოფიზიკა“ გამოყენებულია რუსული ლიტერტურა 20 საუკუნის 70 წლების 42, სილაბუსი „ბიოქიმიის საფუძვლები“ 46.სილაბუსი „სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები“ 47.სილაბუსი „ფიზიკური მეთოდები ბიოლოგიაში“ პრაქტიკულად გადასახედია ყველა სილაბუსის ლიტარატურა, .ასევე სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა , რომ ისინი ითხოვენ კრედიტების გაზრდის ხარჯზე სასწავლო კურსების ოპტიმიზაციას და სასწავლო კურსების პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების საათების გაზრდას დამოუკიდებელი მუშაობის საათების ხარჯზე. ეს რა თქმა უნდა დაეხმარება მათ ფიზიკის პროგრამის სრულყოფილად ათვისებაში, რადგან ფიზიკა როგორც მეცნიერება ემყარება როგორც თეორიულ, ასევე ექსპერიმენტულ საწყისებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები **(დანართი 1);** • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა**(დანართი 4);**
რეკომენდაციები:

1. გადასახედია და შესაბამისობაშია მოსაყვანი სასწავლო კურსებთან ლიტერატურა. ლიტერატურა ძველია და თანაც რუსული;
2. გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში შესაბამის საფეხურთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო პროექტებში ჩართვას.

პროგრამაში შემავალი კურსები ითვალისწინებენ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ საკითხებს. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტები ასრულებენ საბაკალავრო პროექტ, რომლის მიზანია სტუდენტებმა შეიძინონ საბაკალავრო დონის შესაბამისი კვლევის უნარები, შეძლონ განახორციელონ ლიტერატურის მოპოვება და ანალიზი, მოახდინონ მოპოვებული მონაცემების ანალიზი, სინთეზი, შედარება.

უნივერიტეტი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვას. ამ მიმართულებით ყოველწლიურად იმართება საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1);**
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები **(დანართი 1);**
- ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
- გასაუბრება სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: სალექციო სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, კომპიუტერული

მოდელირება, სასემინარო მუშაობა, ელექტრონული სწავლება, დისკუსია, ინტერაქცია, პრეზენტაცია, ახსნა-განმარტებითი სწავლება, გონებრივი იერიში, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, დამოუკიდებელი მუშაობა. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ ასახულია შესაბამის სილაბუსში. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.სტუდენტები ინფორმირებულები არიან ამის შესახებ როგორც პროგრამის ხელმძღვანელისაგან, ასევე ფაკულტეტიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები **(დანართი 1);** • უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ • გასაუბრება სტუდენტებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერილობით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით. შეფასების კრიტერიუმების თითოეული კომპონენტი დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც წინასწარ არის ხელმისაწვდომი სტუდენტისათვის. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სასწავლო კურსების დიდ ნაწილში სტუდენტები შემფასებლის მიერ მთელი რიცხვებით ფასდება; მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული საგნები, სადაც შემფასებელი ათწილადებამდე წვრილმანდება, რაც საფიქრალია, რომ ვერ იქნება სამართლიანი შეფასების გარანტი. ამასთან, მსგავსი მიდგომა ნაკლებად მოიაზრება შეფასების თანამედროვე მეთოდად. უკეთესი იქნება, სტუდენტთა ცოდნის შეფასება მთელი რიცხვებით ხდებოდეს.

როგორც თვითშეფასებაშია გაწერილი „სტუდენტის შეფასების კომპონენტები დამოკიდებულია სასწავლო კურსის სპეციფიკაზე და მოიცავს:

• პრაქტიკული სამუშაოები: მათემატიკური / ფიზიკური ამოცანები;

• რიცხვითი ამოცანები/მოდელირება;

• ლაბორატორიული სამუშაოები;

• სასემინარო დავალებები / მოხსენებები; • ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებები; • მცირე კვლევითი პროექტები; • საბაკალავრო ნაშრომი (სავალდებულო); • დამოუკიდებელი კვლევა, მონაცემთა ანალიზი და სხვა. შეფასების კრიტერიუმები გაწერილია კონკრეტულ სილაბუსებში. სამწუხაროდ ვერ ვნახეთ კვლევითი პროექტები, მაგრამ სტუდენტმა უნდა შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი.,რომელიც ფასდება წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით ფაკულტეტზე დამტკიცებული შეფასების კომისიის მიერ.“ საბაკალავრო ნაშრომის შეფასება:საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, მათგან: 1. ხელმძღვანელის შეფასება - 40 ქულა ა. შინაარსობრივი მხარე - 30 ქულა ბ.ფორმალური მხარე -10 ქულა 2.საბოლოო დაცვის კომისიის შეფასება - 60 ქულა ა.ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 30 ქულა ბ. პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარის შეფასება - 20 ქულა გ. ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე - 10 ქულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1);** • პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები **(დანართი 1);** • გასაუბრება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ

ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უსდ) ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, დასაქმებაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე აქვთ წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად გამოიყენება lms და e-learning.tsu.ge პორტალები. აღსანიშნავია, რომ Covid-19-ის პანდემიის პირობებში უსდ-ში სასწავლო პროცესის მართვის ბაზის გამოყენება ხდება დისტანციურ სწავლებაში. დიდი ზომის ფაილების მათ შორის: სალექციო მასალების, ლექციების აუდიო/ვიდეო ჩანაწერების განთავსება ხორციელდება უსდ-ის მიერ სასწავლო პროცესის მართვის სისტემებში (lms, Moodle), ასევე დისტანციურ სწავლებაში აქტიურად გამოიყენება პროგრამა Zoom. სტუდენტებმა ინტერვიუების პროცესში დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში დეტალურად აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარს, შეფასების სისტემას. მათ იციან, რომ აქვთ საკონსულტაციო საათით სარგებლობის უფლება, თუმცა, როგორც წესი, იშვიათად იყენებენ აღნიშნულ მექანიზმს. სტუდენტების მოსაზრებით ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ლექტორებთან შესაძლებელია მუდმივი კომუნიკაცია სხვადასხვა არხების მეშვეობით, რაც აპრობირებული პრაქტიკაა მათთვის. სტუდენტთა კონსულტირებისა და აუცილებელი მხარდაჭერის პროცესში

ჩართულნი არიან: ფაკულტეტის დეკანატი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, კანცელარია და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. განათლების სფეროში მოქმედი რეგულაციებით, პერსონალი ვალდებულია განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება. კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღწევების გასაუმჯობესებლად, სტუდენტს კონსულტაციების და დახმარების მიღება შეუძლია სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორისგან ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში, ყოველკვირეულად განსაზღვრულ დროს.
უსდ-ის გამოცდების ჩატარების დებულებით, გათვალისწინებულია სტუდენტების მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ არ შეჰქმნიათ შეფასების პრობლემა, შესაბამისად არ დამდგარა ნიშნის გასაჩივრების საჭიროება, თუმცა ისინი ინფორმირებულები არიან იმის შესახებ, თუ რა პროცედურების გავლა მოუწევდათ ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შიდა საუნივერსტეტო გამოკითხვებს პერიოდულად ატარებს უსდ და მსგავს აქტივობებში მათ მიუღიათ მონაწილეობა. უსდ-ს წარმომადგენლების განცხადებით სტუდენტები ნაკლებად აქტიურობენ გამოკითხვის პროცესში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული გამოკითხები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს უჭირთ მათი ჩართულობის გაზრდა.
უსდ-ში მოქმედებს კარიერული განვითარების ცენტრი რომელიც უზრუნველყოფს ასევე სტუდენტის კარიერული განვითარების მხარდაჭერას. ინდივიდუალური და ჯგუფური კომუნიკაცია სტუდენტებთან ხორციელდება სხვადასხვა გზებით: ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელით, სატელეფონო კომუნიკაციით და პირისპირ შეხვედრებით. კარიერული განვითარების ცენტრი, სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა ვაკანსიებს ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებების სახით.
ასევე სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ტრენინგებში, პროექტებსა და კონფერენციებში.
 აღსანიშნავია, რომ უსდ თანამშრომლობს არაერთ პარტნიორ დამსაქმებელ ორგანიზაციასთან თუმცა სტუდენტების უმრავლესობამ ინტერვიუების პროცესში აღნიშნა, რომ პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრა/სემინარებში მონაწილეობა არ მიუღიათ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მეტად გააქტიურდეს შეხვედრები სტუდენტებისთვის პოტენციურ დამსაქმებლებთან რათა მათ შეეძლოთ მეტი ინფორმაციის მიღება კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აღნიშნული საკითხი იდენტიფიცირებული აქვს და უსდ-ს

მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, ერთ-ერთ განსავითარებელ ღონისძიებად მითითებულია პოტენციურ დამსაქმებლებთან კავშირების გაძლიერება.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი პერმანენტულად იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ. ასევე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უსდ-ის ვებ-გვერდზე და როგორც უსდ-ს ადმინისტრაციისგან ვგებულობთ აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია ფაკულტეტის დეკანატში. სტუდენთა ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. მნიშნელოვანია აღინიშნოს, რომ უსდ-ში, ასევე მიმდინარეობს სტუდენტური სამეცნიერო და კულტურული/სპორტული/საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსება. ინტერვიუზე წარმოდგენილ სტუდენტთა უმრავლესობა ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, რისთვისაც მნიშვნელოვანია, უსდ-ის ადმინისტრაციამ გატაროს ის შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ აქტიური პროგრამების სტუდენტებთან ინფორმაციის მიწოდების მაღალ ხარისხს და სტუდენტთა მოტივირება/ხელშეწყობის იმ ღონისძებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფრო აქტიურად ჩართვას მიმდინარე პროექტებში.

უსდ თანამშრობლობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან. დაწესებულების ადმინისტრაციამ ინტერვიუების მიმდინარეობის პროცესში აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაფართოების მიზნით, საჭიროა მეტად გაძლიერდეს საერთაშორისო სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა, ამ მხრივ კი მთავარ გამოწვევად მათი მხრიდან სახელდება დაფინანსების მხარდაჭერის ნაკლებობა.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა შეისწავლა შრომის ბაზარი. შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში, ასახულია შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა. სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ ერთის მხრივ უსდ-ს ადმინისტრაციასა და მეორეს მხრივ დამსაქმებლებსა და სტუდენტებს შორის უკუკავშირი სუსტია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის დებულება;
- აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან/ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
- შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან მეტად მოხდეს სტუდენტთა ხელშეწყობა/მოტივირება, ასევე ინფორმაციის მიწოდების დამატებითი საშუალებების გამოყენება რათა მოხდეს სტუდენტთა უფრო აქტიურად ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში;
- სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის

შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში o მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2020 წლის რანჟირებაში ფიზიკის მიმართულებით 151-200 პოზიციას იკავებს, Shanghai Academic Ranking of the World Universities-ის მიხედვით (http://www.shanghairanking.com/rankings/gras/2021/RS0102), რაც უდაოდ მიუთითთებს, როგორც ამ მიმართულების პროგრამების, ასევე პროგრამებში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო დ მოწვეული პერსონალის მაღალ აკადემიურ და სამეცნიერო დონეზე. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს კომპეტენტური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მის ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. ამას ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში რეიტინგულ საერთაშორისო

ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ელექტრონული და ნაბეჭდი სახელმძღვანელოები, მოპოვებული საერთაშორისო და ადგილობრივ გრანტები და პროექტები, ტრენინგებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა. საბაკალავრო ნაშრომები შესაბამისობაშია თემატიკასთან და ეფუძნება უახლეს ცოდნას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესორი, 21 ასოცირებული პროფესორი, 12 ასისტენტ-პროფესორი და 6 მოწვეული ლექტორი, სულ - 51 პირი.

ფიზიკის საბაკალავრო პროგრამაზე პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა არის 410.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალსა და სტუდენტებს შორის არსებული თანაფარდობა არის 0.12 (51/410). პერსონალის დატვირთვა - 8 სტუდენტი ერთ პროფესორ/მასწავლებელზე საბაკალავრო საფეხურზე კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას. პროგრამაში ჩართულ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის თანაფარდობა არის 0.13 (6/45). ეს თანაფარდობაც საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. არსებული თანაფარდობები და აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის დაბალი მაჩვენებელი (აკადემიური:+1, -4 და მოწვეული: 0, -2) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის მდგრადობას ასევე უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობა. უნივერსიტეტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ჯეროვან წარმართვას.

პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია (პროგრამას ჰყავს 4 ხელმძღვანელი) დასტურდება შესაბამისი განათლებით, სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო თანამშრომლობით და მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელები და პერსონალი მონაწილეობენ პროგრამის შეფასებაში, მის განვითარებაში, ასევე ჩართულები არიან მის განხორციელებაში. ისინი აგრეთვე მონაწილეობენ სტუდენტების კონსულტირებაში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • ვებ-გვერდი: მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2020 წლის რანჟირება Shanghai Academic Ranking of the World Universities-ის მიხედვით (http://www.shanghairanking.com/rankings/gras/2021/RS0102) • თვითშეფასების ანგარიში • აკადემიური პერსონალის რეზიუმეები • საბაკალავრო ნაშრომები • ინტერვიუირების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და zoom-ის საშუალებით ჩატარებული აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტში, როგორც სწავლებასა და კვლევაზე ორიენტირებულ უსდ-ში დიდი როლი ეთმობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ხარისხის განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად პროგრამის ეფექტურობის შეფასებას. ასეთი შეფასება და მიღებული შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამაში ჩრთული პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესეულ განვითარების ხელშემწყობი მთავარი რგოლი არის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია, უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტი, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ისინი უზრუნვებელყოფენ გაცვლით პროგრამებში პერსონალის მონაწილეობას; სწავლების მეთოდების, ტექნოლოგიებისა და შეფასების სისტემის თანამედროვე მიდგომების დანერგვას და განვითარებას; სწავლების მეთოდების, ტექნოლოგიებისა და შეფასების სისტემის თანამედროვე მიდგომების დანერგვას და განვითარებას; აკადემიური პერსონალისთვის სილაბუსების და შეფასების სისტემის მეთოდოლოგიურად გამართვას; აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის სწავლების მეთოდოლოგიებისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგების ჩატარებას; უნივერსიტეტის ელექტრონულ სივრცეში სილაბუსების განთავსებას; მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების შემუშავების პროცესში.

ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისას ფაკულტეტის ადმინისტრაცია

ეყრდნობა: (ა) საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის რაოდენობრივ მაჩვენებელს; (ბ) WEB of Science-ის მიხედვით იმპაქტ ფაქტორის მქონე (> 0.1) ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიების რაოდენობრივ მაჩვენებელს, ციტირების და ჰირშის ინდექსს; (გ) მოპოვებული სამეცნიერო გრანტების რაოდენობრივ მაჩვენებელს; (დ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ, პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესაფასებლად წამოწყებული ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებს; (ე) პროგრამის სტუდენტების გამოკითვის შედეგებს და სხვ.

საბაკალავრო პროგრამის აკადემიური, მოწვეულ პროფესორთა და მასწავლებელთა პერსონალი ყოველწლიურად ახდენს ანკეტა-კითხვარის ფორმით საკუთარი მიღწევების თვითშეფასებას გასული კალენდარული წლის შედეგების გათვალისწინებით.

შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის მართვისა და განვითარებისათვის, ასევე დაწინაურებისა და წახალისებისთვის. მოქმედებს აგრეთვე აკადემიურ, მოწვეულ პროფესორებსა და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი, მაგალითად, მე-13 ხელფასის სახით.

უნივერსიტეტი შესაძლებლობის ფარგლებში, ფინანსურად უზრუნველყოფს პროგრამაში
ჩართული პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში, მათ ჩართულობას საერთაშორისო პროგრამებში და მობილობას.

თსუ-ში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ჩართულობით ყოველი წლის დასაწყისში იმართება საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ხდება თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის წარმოდგენა. კონფერენციაში ასევე მონაწილეობენ მოწვეული პედაგოგებიც. კონფერენციის პლენარული სესიის დროს ხდება დეპარტამენტების სამეცნიერო საქმიანობის წარმოდგენა და შეჯამება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა ზოგადად უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტუქტურით და ტექნიკით, რაც აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად. კერძოდ,
უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი კეთილმოწობილი აუდიტორიებით. ბიბლიოთეკები (ცენტრალური სამეცნიერო, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის), სამკითხველო დარბაზები, სასწავლო და სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები, ობსერვატორია, სტუდენტური კლუბი აღჭურვილია თანამედროვე ლიტერატურით, დანადგარებით და ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

სასწავლო და სამეცნიერო ინფორმაციის მისაღებად ფართოდ გამოიყენება ელექტრონული რესურსები. კერძოდ, ბიბლიოთეკაში განთავსებულია და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. ასევე ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო საერთაშორისო ელექტრონული რესურსები (Google Scholar, Web of Science, Scopus) და საბიბლიოთეკო ბაზები (Jstor, Ebsco, Cambridge University Journals), რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ასევე გამოიყენება

- თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის
- თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
- თსუ მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის,
- თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის
- სტუ კიბერნეტიკის ინსტიტუტის (მემორანდუმის საფუძველზე)
- ე. ხარაძის სახელობის აბასთუმნის ობსერვატორიის (მემორანდუმის საფუძველზე)

მატერიალურ-ტექნიკური და საბიბლიოთეკო ბაზები.
სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. თუმცა მათი ინფორმირებულობა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ სასურველია უკეთესი იყოს. ასევე გასაუმჯობესებელია ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა, როგორც სტუდენტების, ასევე

პერსონალის. სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში გასაახლებელია ლაბორატორიული ხელსაწყოები. განსაკუთრებით კი გამზომი ხელსაწყოები. მაგალითად, სასწავლო ამოცანები აღიჭურვოს ციფრული ოსცილოგრაფებით, CCD ტიპის დეტექტორებით და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუირების შედეგები ○ მატერიალუტ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაცია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში გაახლდეს გამზომი ხელსაწყოები. ▪ სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა ელექტრონული, საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ. ▪ გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები ასახულია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში. თუმცა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის და ფიზიკის საბაკალავრო პროგრამისთვის არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. პროგრამას აფინანსებს სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური (შემოსავალი: 2250 ლარი x პროგრამის სტუდენტების რაოდენობა = 546 750 ლარი) და მოპოვებული გრანტების (2015-2021 წლების მანძილზე 4 140 000 ლარი და 420 000 აშშ დოლარი და 133 000 ევრო) ფარგლებში აპარატურის შეძენაზე და პროექტში ჩართული პერსონალის ხელფასის ანაზღაურებაზე გამოყოფილი თანხა. ბიუჯეტი და გრანტით დაფინანსებული პროექტების ანაზრაურება ფარავს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, აპარატურის, სავალდებულო ლიტერატურის და კომუნალურ ხარჯებს. პროგრამის ფაქტობრივი მდგომარეობა ცხადოფს, რომ ის ფინანსურად მიღწევადი და მდგრადია.

ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში. მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება, გრანტების ან სხვა დაფინანსებული პროექტების

სახით, რაც წარმოადგენს კვლევებისთვის აპარატურის შეძენის ძირითად წყაროს. მნშვნელოვანია აგრეთვე საგრანტო დაფინანსების წვლილი საერთაშორისო ცენტრებსა და კონფერენციებზე ვიზიტის დასაფინანსებლად. საგრანტო დაფინანსება ასევე სტუდენტთა და პროგრამის პერსონალის შრომითი ანაზღაურების და წახალისების მნიშვნელოვან დამატებით წყაროს წარმოადგენს. ის ასევე თსუ-ს ბიუჯეტში ინვესტირების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ბიუჯეტი და გრანტით დაჯილდოვებული სამეცნიერო პროექტების ბიუჯეტები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუირების შედეგები • მატერიალუტ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაცია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურიდან და თვითშეფასების ანგარიშიდან გამოიკეთა, ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს თსუ-ში კოორდინირებას უწევს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - უნივერსიტეტის მართვის ორგანო - რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროებია: ა) უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; ბ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება; გ) რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით; დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება; ე) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; ვ) საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა. სამსახურის საქმიანობის მთავარი პრინციპები ემყარება გამჭვირვალობას, საჯაროობას, ობიექტურობას, სანდოობას, უწყვეტობასა და ვალიდურობას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს პრინციპით „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“, რომელიც მუშაობს შემდეგგვარად:

I. დაგეგმე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს.

II. განახორციელე - შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური: 1) შეიმუშავებს გამოკითხვის (სტუდენტის, კურსდამთავრებულის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, პერსონალის, დამსაქმებლის) ფორმებს. ბოლო წლების განმავლობაში განახლდა/შემუშავდა რიგი კითხვარები. კითხვარის დახვეწის შედეგად უფრო რეალისტურად წარმოჩნდა გასულ წლებთან შედარებით როგორც საუნივერსიტეტო სერვისა და მიმდინარე პროცესების პოზიტიური მხარეები, ისე გასაუმჯობესებელი საკითხები, რაც დამატებით საშუალებას იძლევა მართებულად დაიგეგმოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები, განახლდეს და მოვიდეს შესაბამისობასთან რეგულაციები და პროცედურები. 2) ატარებს სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების და სხვ. გამოკვლევის მიზნით. 3) ატარებს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვას პერსონალის

საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით 4) ატარებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ანონიმურ გამოკითხვას 5) ახდენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს 6) ამოწმებს საბიბლიოთეკო ფონდის და სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობას.

III. შეამოწმე - ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების პროცესს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემოწმდება: ა) საგანმანათლებლო პროგრამები ბ) სასწავლო კურსები/კომპონენტები გ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობა დ) აკადემიური/მოწვეული პერსონალი ე) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

IV. განავითარე - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თუმცა ნაკლებად იკვეთება რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის ეტაპი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ნამდვილად იწყება შეფასების პროცესების დაგეგმვით. მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, თუმცა სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდონით, ანალიზის წარმოების შემდეგ, მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული ან დაგეგმილი რეაგირებებიც.

შესაბამისად, სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან რეაგირების ანგარიშში. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც. უსდ-მ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა შეიმუშავოს რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესზე დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი

თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არსებული მექანიზმებისა, ინსტიტუციამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ამ კუთხით მუშაობა, რათა მოხდეს მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება. სასურველია, პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი აზრებისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგები უფრო დეტალურად გაანალიზდეს და მეტად იყოს გამოყენებული პროგრამის გაუმჯობესების ნაწილში.

განსხვავებით აკადემიური და მოწვეული პრესონალისა, არ იგრძნობოდა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში. ინსტიტუციამ აუცილებლად უნდა იზრუნოს ამ კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებაზე და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფაზე საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირების პროცესში.

გასაუმჯობესელ მხარედ უნდა ჩაითვალოს ფაქტი, რომ დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგში და შეფასებაში არ არის სისტემატური და ძირითადად ხორცილდება იშვიათად, პირადი კომუნიკაციის საშუალებით.

გარდა ამისა, სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა. კვლევის ანალიზი საშუალებას მისცემს უსდ-ს შეისწავლოს უნივერსიტეტიდან სტუდენტთა გადინების მიზეზები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, ხოლო მობილობით გადმოსულ სტუდენტთა გამოკითხვა დაეხმარება ინსტიტუციას შეისწავლოს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის არჩევის ფაქტორები, მოლოდინები, შეაფასოს უნივერსიტეტის იმიჯი, ცნობადობა სამიზნე აუდიტორიაში.

ინსტიტუციის მხრიდან შემუშავდა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა სტრუქტურული ერთეულის ეფექტურად ჩართვას, რაც შემდგომში, თავის მხრივ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და შემდგომ განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მხარდაჭერის კომიტეტი, დაკომპლექტებული გახლდათ

სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებით, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალი. დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესით გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. გარდა ამისა, შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. ფაულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პერიოდულად ორგანიზებას უწევს ტრეინინგებსა და სემინარებს აკადემიური პროგრამების განმახორციელებელთა და დაინტერესებულ პირთათვის პროგრამების სააკრედიტაციო პროცესის მართებულად წარმართვის მიზნით. 2018 წლის სექტემბრიდან დღემდე ჩატარდა არაერთი ტრეინინგი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებისა და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, რომლის მტკიცებულებაც წარმოდგენილი იქნა ინსტიტუციის მხრიდან მტკიცებულების სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტისბრძა- ნება N04/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“ • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“ • უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N 67/2018 სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • გამოკითხვის ფორმები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოვლეწლიური ანგარიშები • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც ● სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ● სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2	გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. ამ პროცესში მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით კი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, დახვეწას და შესაბამისად, პროგრამებით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას. გარდა ამისა გარე შეფასება ხორციელდება პროგრამის განვითარების კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში (რომლის ძირითადი ბირთვია კურსდამთავრებულები, დამსაქმებლების წარმომადგენლები და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი). კომიტეტის წევრთა რეკომენდაციების საფუძველზე ხდება პროგრამის განახლება ან ცვლილება, აუცილებლობისა და საჭიროების შემთხვევაში. მოქმედმა პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წლის 28 ოქტომბრის (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #208, 2011.28.10). საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. თსუ ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასახვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა ხორციელდება თსუ-ის მიერ დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას. უნივერსიტეტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პერიოდულად წარუდგენს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად. პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღო გარე შემფასებელმა (ექსპერტმა), რომელიც არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ არის

დაინტერესებული მხარე, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, საჭიროების შემთხვევაში გააჩნია, როგორც ზოგადი ცოდნა, ისე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები. უნივერსიტეტის გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით. პროგრამის გარე შემფასებელმა ექსპერტმა, დადებითად შეაფასა პროგრამა და განსაკუთრებული შენიშვნები აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით არ ჰქონია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოვლეწლიური ანგარიშები • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები • თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშითა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით პერიოდულად ტარდება სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, ადმინისტრაციულდა დამხმარე პერსონალთან. ასევე, პერიოდულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, პერსონალის გამოკითხვები, დამსაქმებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები. ხორციელდება გამოკითხვის შედეგების ანალიზი გამოვლენილ გამოწვევებზე რეაგირების გზით პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით. სასურველია თვითშეფასების აღწერით ნაწილშიც (და არა მარტო) უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის დახვეწის მიზნით . გარდა ამისა, სასურველია თვითშეფასების აღწერით ნაწილში მითითებული რიცხობრივი მაჩვენებლები იყოს შესაბამისობაში ერთმანეთთან. პროგრამის რიგ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იყო საკმაოდ მოძველებული, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ არ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან ლიტერატურის განახლების თაობაზე რეკომენდაციის მიწოდება პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განვითარებაზე მომუშავე

ჯგუფისათვის.

სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პერიოდულად მოხდეს სილაბუსების გადამოწმება და მასში არსებული მოძველებული ლიტერატურის ცვლილებაზე რეკომენდაციის გაცემა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის მისამართით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამამ 2019 წელს გაიარა შიდა „კოლეგიალური“ შეფასება, რომელიც წარმოადგენდა აკრედიტაციის პროცესის სიმულაციას, ადგილზე ვიზიტის ჩათვლით. შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მოდიფიკაციისას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, თსუ-ში სისტემატიურად მიმდინარეობს სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

ინსტიტუციის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი ბენჩმარკინგი, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. ამიტომაც, სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტები
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სწავლების შედეგების რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია თვითშეფასების აღწერით ნაწილშიც (და არა მარტო) უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის დახვეწის მიზნით
- სასურველია თვითშეფასების აღწერით ნაწილში მითითებული რიცხობრივი მაჩვენებლები იყოს შესაბამისობაში ერთმანეთთან
- სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პერიოდულად მოხდეს სილაბუსების გადამოწმება და მასში არსებული მოძველებული ლიტერატურის ცვლილებაზე რეკომენდაციის გაცემა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის მისამართით
- სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ფიზიკა, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			